ეთო კოწოწაშვილი

მედიის სკოლა

SMK გამოყენებით სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტი

,,2024 წლის, გაზაფხულის სემესტრი, Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, გავატარე ვილნიუსში, ლიეტუვის გამოყენებით სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტში (SMK). საზღვარგარეთ გატარებული 6 თვე ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დამრჩა საინტერესო აკადემიური გამოცდილებისა და საერთაშორისო კულტურული მრავალფეროვნების ფონზე.

უმაღლეს საგანმანათლებლო კერძო სასწავლებლებს შორის, SMK თავისი თანამედროვე აკადემიური პრაქტიკით ლიეტუვის ყველაზე დიდი უნივერსიტეტია. საორიენტაციო დღიდანვე კარგად დამამახსოვრდა უნივერსიტეტისთვის სახასიათო, ფერადი ინტერიერი და ტექნოლოგიური, კომფორტული გარემო თავისი მეგობრული აკადემიური პერსონალით. სასწავლო პროგრამის მანძილზე მულტიკულტურულ ჯგუფებში ვმუშაობდი რეალურ მარკეტინგულ პროექტებზე და მონაწილეობას ვიღებდი უნივერსიტეტის მიერ ინიცირებულ როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ღონისძიებებში.

გარდა აკადემიური თავგადასავლებისა, ვფიქრობ, რომ მოცემული გამოცდილების უმთავრესი მიზანი სოციალიზაცია და კულტურათაშორისი ურთიერთობები აღმოჩნდა, რადგან ჩემი ყოველდღიურობა უცხოელ მეგობრებთან კონტაქტს (ან მოგზაურობას) ეთმობოდა. მიხარია, რომ ეს პროცესი დღემდე იმავე ხარისხით გრძელდება და იმედია, ყოველთვის გლობალურ მასშტაბზე შენარჩუნდება. გაცვლითი პროგრამები უნიკალური შესაძლებლობაა საკუთარი თავის უკეთ რეალიზებისა და აღმოჩენის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ მთლიან პროცესს თან სდევს არაერთი გამოწვევა, საბოლოოდ, ესეც შემადგენელი ნაწილია იმ დიდი სურათისა, რომელსაც დაბრუნების შემდეგ აუცილებლად დაინახავთ.''